დანართი N*1*

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სამეცნიერო გრანტების *2016 წლის* კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი *1.* ზოგადი დებულებანი

1. თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია შეუწყოს ხელი ფაკულტეტის დეპარტამენტებზე მიმდინარე ***<u>კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინისა</u>*** და ***<u>საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის</u>***მიმართულებისსამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას.

2. პროექტები დაფინანსებისათვის შეირჩევა ღიად საგრანტო კონკურსის გზით;

3. კონკურსი იმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში, კვალიფიციურ ექსპერტიზაზე დაყრდნობით.

4. კონკურსი ტარდება თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივ ბრძანებით (№:39/04 – 2015-12-23) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახდენს თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას;

გ) საკონკურსოდ წარმოსადგენი პროექტის ფორმის, აგრეთვე პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

დ) საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივ ბრძანების (№:39/04 – 2015-12-23) მოთხოვნებთან;

ე) კომისიის შექმნას ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის 3 პირის შემადგენლობით, რომელიც უზრუნველყოფს პროექტების ექსპერტული შეფასების პროცედურებს, მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შეთანხმებას და შერჩეული პროექტების ფაკულტეტის საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას. როგორც კომისიის წევრები, ასევე მოწვეული ექსპერტები არ მონაწილეობენ მოცემულ საგრანტო კონკურსში;

ვ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსება და განხორციელების მონიტორინგი მიმდინარეობს თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივ ბრძანებით (№:39/04 – 2015-12-23) განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული

ბრძანების მოთხოვნებთან შეუსაბამო ან ყალბი ინფორმაციის შემცველი პროექტი შეიძლება მოიხსნას/შეწყვეტილ იქნას კონკურსის/დაფინანსების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი *3*. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) თსუ მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს. საკონკურსო პროექტში შეიძლება მონაწილეობდეს სხვა ორგანიზაციის ან თსუ სხვა სტრუქტურის წარმომადგენელი – ანაზღაურების გარეშე;

ბ) თითოეულ პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის (აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტის მქონე და არანაკლებ 3.0 GPA-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) ჩართულობა;

გ) ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო - კვლევითი პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტში ჩართული თითოეული ფაკულტეტიდან არანაკლებ 1 სტუდენტის (პროექტის წარდგენისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტის მქონე და არანაკლებ 3.0-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) და არანაკლებ 1 აკადემიური პერსონალის ჩართულობა.

2. საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმართავს პროექტის მიმდინარეობას. სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

3. ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ პროექტში.

მუხლი 4. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 თვეს;

2. მედიცინის ფაკულტეტისათვის გამოყოფილი 85000 ლარიდან არანაკლებ 75000 ლარი გათვალისწინებულია უშუალოდ ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო - კვლევით სამუშაოებისათვის, ხოლო 10000 ლარი ინტერდისციპლინური კვლევების განსახორციელებლად თსუ-ის სხვა ფაკულტეტთან/ფაკულტეტებთან ერთად.

ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 20000 ლარს უშუალოდ ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის და 10000 ლარს - ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის.

3. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, პრინციპით - პირველი ტრანში არაუმეტეს 40%-სა, მეორე ტრანში - არაუმეტეს 50%-სა – 6 თვის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე, მესამე ტრანში - არაუმეტეს 10%-სა პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგომ;

4. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და

ასისტენტ- პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30 %-ს.

5. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება რჩება თსუ (მედიცინის ფაკულტეტის) საკუთრებაში;

6. საკონკურსო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებებს.

7. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს მიღწეული შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში, რომელიც ასახულია Thomson Reuter-ის, Elsevier-ის, ან მსგავს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

მუხლი 5. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) მივლინება - აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის და დღიური ნორმის ხარჯებს; ასევე ქვეყნის გარეთ მივლინებული პირის სავალდებულო დაზღვევისა და ვიზის გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

დ) საქონელი და მომსახურება - საქონელი და მომსახურება (აღნიშნული კატეგორია გულისხმობს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქონელი და მომსახურეობის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ხარჯების გაწევას);

ე) გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტთა მიერ ხელმოწერილი განცხადების შემოტანა თსუ მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციაში

დ) საკონკურსო დოკუმენტების კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) პროექტების ექსპერტული შეფასება;

ვ) ექსპერტული შეფასების საფუძველზე შერჩეული პროექტების ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენა და დამტკიცება;

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. პროექტის წარმოდგენა ხდება დამტკიცებული ფორმით (იხ. დანართი N2 და N3);

2. პროექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს ორი არასასურველი ექსპერტისა, რომელთაც შესაფასებლად წარმოდგენილი პროექტი არ გაეგზავნება.

3. პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეული ხარჯები არ ნაზღაურდება.

მუხლი 8. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ პროექტების ექსპერტული შეფასების პროცედურებს უზრუნველყოფს ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის 3 პირის შემადგენლობით შექმნილი კომისია;

2. პროექტები ფასდება №4 დანართით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (ჯამური 100 ბალი);

3. თითოეული პროექტი შეფასდება ორი ექსპერტის მიერ;

4. პროექტის შეფასება გამოითვლება მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით;

5. საგრანტო დაფინანსებას ვერ მიიღებს 80-ზე ნაკლები ქულით შეფასებული პროექტი;

6. ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია;

7. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროექტის ძირითადი პერსონალის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ექსპერტთა დასკვნების გაცნობა.

მუხლი *9.* ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის:

ა) ამავე კონკურსის მონაწილე;

ბ) ძირითად პერსონალის თანაავტორი ან თანამონაწილე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელის უშუალოდ მიმღები პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

2. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, საბჭო უფლებამოსილია, იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 1*0.* საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება თსუ ადმინისტრაციასა და პროექტებში მონაწილე ძირითად და დამხმარე პერსონალს შორის;

2. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის თსუ–სა და გრანტის მიმღებს.

მუხლი 1*1.* საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, პრინციპით - პირველი ტრანში არაუმეტეს 40%-სა, მეორე ტრანში - არაუმეტეს 50%-სა – 6 თვის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე, მესამე ტრანში - არაუმეტეს 10%-სა პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგომ;

2. პროექტის შუალედური და საბოლოო ანგარიშები წარმოდგენილი უნდა იქნას თანდართული ფორმებით (იხ. დანართი N 5 და N6)).